ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29. 29240666**
თარიღი:**06/03/2024**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ჩხარის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ სკვერში (მიწის უძრავი ქონების ს/კ № 33.15.32.467) სახვითი ხელოვნების ძეგლის (დედის ლოცვა) დადგმის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის, 61 -ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 2 თებერვლის N 28-282403346 წერილის საფუძველზე, საკრებულომ განიხილა თერჯოლის მუნიციპალიტეტის ჩხარის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ სკვერში (ს/კ № 33.15.32.467) სახვითი ხელოვნების ძეგლის (დედის ლოცვა) დადგმის საკითხი და **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

მუხლი 1. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული თერჯოლის მუნიციპალიტეტის ჩხარის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ სკვერში (ს/კ № 33.15.32.467) სახვითი ხელოვნების ძეგლის (დედის ლოცვა) დადგმა;

მუხლი 2. განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. #7) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM